სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080115932729220

№ 5608

29 / დეკემბერი / 2020 წ.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2020 წლის 25 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ წარმოადგინა SMP200005698 მომართვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურების შესყიდვას (85100000 - ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები), ღირებულებით 85200.00 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, მაღალმთიანი რაიონის გეოგრაფიული განლაგებისა და ცხოვრების რიტმიდან გამომდინარე, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები ვერ ახერხებენ დროულად და რეგულარულად მიმართონ შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრს“. იგი ერთადერთია აჭარაში, რომელიც ემსახურება ფსიქიური პრობლემების მქონე ადამიანებს. მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები ხშირად ან ხანგრძლივი დროით თავსდებიან სტაციონარში, ხოლო, სტაციონარიდან გაწერის შემდეგ არ აკითხავენ ამბულატორიულ დაწესებულებას, წყვეტენ მკურნალობას, რაც ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკის გაუარესებას იწვევს. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცდა ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურების მიზნობრივი პროგრამა. მისი უზრუნველყოფისათვის განხორციელდა ინფორმაციის შეგროვება ქობულეთის მუნიციპალიტეტში ფსიქიურად დაავადებულ პირთა შესახებ, რისთვისაც ქობულეთის მუნიციპალიტეტმა მიმართა შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრს“, სადაც ეს ადამიანები მკურნალობენ, მაგრამ აღნიშნული საავადმყოფოდან მიღებულ იქნა მხოლოდ ზოგადი სტატისტიკური მონაცემები, ვინაიდან, პაციენტის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და რეგულირდება „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც, მესამე პირზე ინფორმაციის გაცემა შესაძლებელია პაციენტის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილებით.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, ვინაიდან, შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრი“ ერთადერთია აჭარის ტერიტორიაზე, რომელიც ახორციელებს მსგავს მომსახურებას და მისთვის ცნობილია ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ყველა ფსიქიური პრობლემების მქონე აღრიცხვაზე მყოფი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სრული ინფორმაცია, შემსყიდველი ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ აღნიშნული შესყიდვა ვერ განხორციელდება სატენდერო პროცედურების მეშვეობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ღონისძიება ატარებს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ხასიათს და საჭიროა მისი შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების შესყიდვის განხორციელება.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, რომ მაღალმთიანი რაიონის გეოგრაფიული განლაგებისა და ცხოვრების რიტმიდან გამომდინარე, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები ვერ ახერხებენ დროულად და რეგულარულად მიმართონ შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრს“. იგი ერთადერთია აჭარაში, რომელიც ემსახურება ფსიქიური პრობლემების მქონე ადამიანებს. მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები ხშირად ან ხანგრძლივი დროით თავსდებიან სტაციონარში, ხოლო, სტაციონარიდან გაწერის შემდეგ არ აკითხავენ ამბულატორიულ დაწესებულებას, წყვეტენ მკურნალობას, რაც ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკის გაუარესებას იწვევს. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცდა ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურების მიზნობრივი პროგრამა. მისი უზრუნველყოფისათვის განხორციელდა ინფორმაციის შეგროვება ქობულეთის მუნიციპალიტეტში ფსიქიურად დაავადებულ პირთა შესახებ, რისთვისაც ქობულეთის მუნიციპალიტეტმა მიმართა შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრს“, სადაც ეს ადამიანები მკურნალობენ, მაგრამ აღნიშნული საავადმყოფოდან მიღებულ იქნა მხოლოდ ზოგადი სტატისტიკური მონაცემები, ვინაიდან, პაციენტის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და რეგულირდება „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც, მესამე პირზე ინფორმაციის გაცემა შესაძლებელია პაციენტის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილებით.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, ვინაიდან, შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრი“ ერთადერთია აჭარის ტერიტორიაზე, რომელიც ახორციელებს მსგავს მომსახურებას და მისთვის ცნობილია ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ყველა ფსიქიური პრობლემების მქონე აღრიცხვაზე მყოფი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სრული ინფორმაცია, შემსყიდველი ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ აღნიშნული შესყიდვა ვერ განხორციელდება სატენდერო პროცედურების მეშვეობით.

სააგენტო განმარტავს, რომ ღონისძიების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, აღნიშნული მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების შესყიდვის განხორციელების საჭიროება.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის SMP200005698 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების დასადგენად მიმართოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე